

2020 წლის 9 ნოემბერი

სსიპ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

სარევიზიო კომისიის სხდომის

ოქმი

სხდომის ჩატარების ადგილი - სხდომა გაიმართა დისტანციურად, ელექტრონული პროგრამა ვებექსის მეშვეობით.

სხდომას ესწრებოდნენ სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

დავით ახალაური - თავმჯდომარე

ლელა ბჟალავა - წევრი

თეიმურაზ მესხი - წევრი

გოჩა გარუჩავა - წევრი

ნუნუ კვანტალიანი - წევრი

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი - გიორგი ჭეხანი

ადვოკატთა ასოციაციის ფინანსური მენეჯერი - მედეა გამდლიშვილი

შპს „აუდიტ ცენტრის“ აუდიტორი - გიორგი კახეთელიძე

სხდომის დაწყების დრო- 17:00 საათი

სხდომის დასრულების დრო - 20:30 საათი

შენიშვნა: სხდომა დანარჩენ წევრებთან შეთანხმებით, გადაუდებელი აუცილებლობის მდგომარეობიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღებამდე დატოვეს წევრებმა: ნუნუ კვანტალიანმა და ლელა ბჟალავამ, ხოლო სხდომას, გარკვეულ პერიოდში, აღმასრულებელი ფუნქციების დაზუსტების მიზნით შემოუერთდა აღმასრულებელი მდივანი - გიორგი ჭეხანი.

დღის წესრიგი:

1. 2019 წლის ფინანსური აუდიტის დასკვნის განხილვა.
2. აუდიტის დასკვნაში დაფიქსირებული, ასოციაციის ფინანსური დოკუმენტების წარმოების შიდა კონტროლის მექანიზმის საკითხის განხილვა.
3. სხვადასხვა

სხდომა გახსნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე დავით ახალაურმა. მან წევრებს მოუწოდა განეხილათ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების დასკვნის პროექტი და დაეფიქსირებინათ მოსაზრებები და შენიშვნები. მანვე წამოაყენა საკითხი, აუდიტის დასკვნაში დაფიქსირებული - ორგანიზაციის ფინანსური დოკუმენტების წარმოების პროცესში შიდა კონტროლის მექანიზმის შესახებ მსჯელობაზე და აღნიშნა, რომ სხდომაზე განხილულიყო უპირველესყოვლისა აღნიშნული საკითხი. მან წევრებს საუკითხა აუდიტის დასკვნის შესაბამისი ნაწილი და განაცხადა, რომ სხდომა ტარდება დისტანციურად, ხოლო სხდომის მდივნის მოვალეობას ასრულებს ფინანსური მენეჯერი - მედეა გამდლიშვილი. კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დაიწყო სარევიზიო კომისიის ფუქნციათა განმარტებით, რომ ზოგადად სარევიზიო კომისია შექმნილია შიდა კონტროლისთვის. ასევე განაცხადა, რომ ფინანსური სახსრების მიზნობრივად ხარჯვაზე პასუხისმგებელია ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, ხოლო რაც შეეხება შიდა კონტროლს, ამ ნაწილში მოიაზრება სარევიზიო კომისია, ამიტომ განმარტება სთხოვა აუდიტორ გიორგი კახეთელიძეს ვრცლად აეხსნა თუ რას მოიცავდა აუდიტის დასკვნაში მითითებული „ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშზე შიდა კონტროლის გზით“.

აუდიტორმა განმარტა, რომ ორგანიზაციის ფინანსური დოკუმენტების წარმოების პროცესში არსებობს შიდა კონტროლის რამოდენიმე მექანიზმი და სარევიზიო კომისიის არსებობა არის ერთ-ერთი მათგანი. შიდა კონტროლის არსებობა გულისხმობს, ფულადი სახსრების ხარჯვის პროცესში ისეთი ტიპის მექანიზმის არსებობას, როდესაც ფინანსური მენეჯერის მიერ შესრულებული საბანკო გადარიცხვები, თუ ნაღდი ფულით წარმოებული ოპერაციები კონტროლდება მისი ხელმძღვანელის მიერ, ხოლო ფინანსური ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია და ხელს უნდა აწერდეს, კომპანიის შემთხვევაში - დირექტორი, ხოლო სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შემთხვევაში - ასოციაციის თავმჯდომარე. მანვე განმარტა, რომ ფინანსური მენეჯერიც ხელს აწერს ფინანსურ ანგარიშგებას, ვინაიდან მას ექვემდებარება საბუღალტრო საქმიანობა, ხოლო ფინანსური ანგარიშგების სისწორეს ადასტურებს ასოციაციის თავმჯდომარე. გიორგი კახეთელიძემ განმარტა, რომ ადვოკატთა ასოციაციის შემთხვევაში არსებობს ადეკვატური შიდა კონტროლის მექანიზმი. კერძოდ, ორგანიზაციაში დანერგილია მოთხოვნის პროცესი და მოთხოვნის ფორმა, რომელსაც ავსებს შესყიდვის მომთხოვნი, უთითებს შესყიდვის ობიექტს, რა დანიშნულებით აქვს შესყიდვის საჭიროება და ამ ფორმას თან ურთავს წინასწარ მოძიებულ ინვოისს, შესყიდვის დეტალების უკეთ აღსაქმელად. აღნიშნული მოთხოვნის ფორმა და ინვოისი გადის ჯერ დეპარტამენტის უფროსის ვიზირებას, შემდეგ აღმასრულებელი მდივნის ვიზირებას, 1000 ლარზე ზევით შესყიდვის შემთხვევაში კი თავმჯდომარის ვიზირებასაც. მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა

მოთხოვნის ფორმა და ინვოისი ფინანსურ მენეჯერს, თანხის ასანაზღაურებლად. აუდიტორი განმარტავს, რომ მათთვის აღნიშნული სისტემა არის შიდა კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი. დავით ახალაურის კითხვაზე თუ რა სახის მექანიზმები არსებობს სარევიზიო კომისიისათვის კონკრეტულად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს და არა უშუალოდ ხარჯების დროს კონტროლისა, რასაც ახორციელებს ასოციაციის თავმჯდომარე, დამოუკიდებელმა აუდიტორმა განმარტა, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს, ამაში იგულისხმება მთლიანად, როგორ ხდება გაწერილი ბიუჯეტის შესრულება ეტაპობრივად, სარევიზიო კომისიას შეუძლია პერიოდულად ჩაერთოს და მოითხოვოს ფინანსური მდგომარეობა, შეადაროს ის ბიუჯეტს, როგორ ხდება მისი გახარჯვა, ხომ არ ხდება ბიუჯეტის გარკვეული მუხლების გადაცდენა. დავით ახალაურმა აუდიტორს დაუსვა კითხვა, რამდენად შესაძლებელია კვარტალურად შემოწმება ბუღალტრულ თვალსაზრისით, ვინაიდან პრაქტიკაში აუდიტი ტარდებოდა საანგარიშო წელზე - კერძოდ არის თუ არა შესაძლებელი ფინანსური ანგარიშგების მუხლების მიხედვით შემოსავლების და ხარჯების კვარტალში ერთხელ შეჯამება და მისი ბიუჯეტთან შესაბამისობის დადგენა. აუდიტორმა განმარტა, რომ ეს შედარება ზუსტი არ იქნება, ვინაიდან კვარტალურად ხარჯები შესაძლოა განსხვავდებოდეს, მაგრამ ხარჯვის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისობის კარგი იქნება იმის გასაკონტროლებლად, რომ საბოლოო ჯამში არ გადააჭარბოს წლიურ გეგმას, მაგრამ წესით დიდი განსხვავება არ უნდა იყოს, ვინაიდან ხელფასები, კომუნალური და სხვა მუდმივი ხარჯები არ იცვლება და რაღაც მონახაზისთვის გამოდგება, ხოლო ზუსტი იქნება მხოლოდ წლის ბოლოს შედარება. ზოგადი მონიტორინგის მიზნით, სარევიზიოს კომისიას შეუძლია ბიუჯეტის მუხლების შერჩევითი პრინციპის მიხედვით, კვარტალურად მოითხოვოს რელევანტური ინფორმაცია.

წევრები გაცნობილნი იყვნენ ზემოაღნიშნულ მოთხოვნის ფორმას და ფინანსური მენეჯერის მიერ ნიმუშის სახით წარმოდგენილ შესყიდვის სრული ციკლის მაჩვენებელ დოკუმენტაცია, რის შესახებაც გამოთქვეს მოსაზრებები: გოჩა გარუჩავა შეეხო მოთხოვნის ფორმას და აღნიშნა, რომ ეს კარგის სისტემაა, მაგრამ დაამატა, რომ დიდი ხარჯების მოთხოვნას უმჯობესია ჰქონდეს უფრო სრულყოფილი დასაბუთება და საჭიროების აღწერა, ასევე ფორმაში ეწეროს თანამდებობის გასწვრივ თანამდებობის პირის გვარი სახელი და თარიღი. ამასთან, გოჩა გარუჩავამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში მითითებული სარევიზიო კომისიის ხარჯი არ წარმოადგენს სარევიზიო კომისიის ხარჯს, ვინაიდან ეს თანხა გამოყენებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მომსახურებისათვის, მისი შერჩევის განაცხადის გამოსაქვეყნებლად და ა. შ.

გოჩა გარუჩავამ აუდიტს დაუსვა კითხვა - დაახლოებით 52000 ლარის ზარალით დამთავრდა თუ არა 2019 წლის საანგარიშო წელი? გოჩა გარუჩავამ ასევე სთხოვა აუდიტორს დაზუსტდეს შესაძლებელია თუ არა ასოციაციის ფინანსური ხარჯვის შემოწმება წლის შუა პერიოდებში, რათა კიდევ უფრო მეტად იქნეს უზრუნველყოფილი შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგი, რაზეც სარევიზიო კომისიას პასუხისმგებელი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა გოჩა გარუჩავას მიერ წამოჭრილი საკითხების განხილვა ცალ-ცალკე და აუდიტორს სთხოვა აეხსნა ზარალის საკითხი.

აუდიტორმა განმარტა, რომ წლიური წმინდა შედეგის შემცირება გამოიწვია იმან, რომ მართალია, უძრავი ქონების რეალიზაციის მიღებულმა ავანსმა გაზარდა საკასო მეთოდით მიღებული შემოსავალი (ნაღდი ფულის შემოსვლა ორგანიზაციაში), თუმცა წმინდა შედეგის მიზნებისათვის აღნიშნული თანხა ქონების საბოლოო გადაცემამდე შემოსავლად აღიარებას არ ექვემდებარება, სწორედ ამიტომ, ორგანიზაციამ შესაძლოა მოახდინა ამ და წინა წლის ბოლოს ნაშთად არსებული ფინანსური რესურსის გამოყენება, თუმცა წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი ნაკლები აღმოჩნდა წლიურ ხარჯებზე. გოჩა გარუჩავამ და თეიმურაზ მესხმა ასევე ერთობლივად დასვეს კითხვა, თუ რამ გამოიწვია ეს გადახარჯვა, ვინაიდან ეს არ წერია პირდაპირ აუდიტის დასკვნაში. თეიმურაზ მესხმა, დამატებით ახსნა ითხოვა, რატომ არ აისახა უძრავი ქონების რეალიზაციით მიღებული თანხა შემოსავალში? აღნიშნულზე აუდიტორმა დამატებით განმარტა, რომ იმის გამო, რომ შენობის გაყიდვის ხელშეკრულება არის გრძელვადიანი და მისი საბოლოო ანაზღაურება მოხდება 2020 წელს და საბოლოო ანაზღაურებამდე ქონების მფლობელი არის ადვოკატთა ასოციაცია, ქონების გადაცემამდე გადახდილი თანხები აისახება ავანსად.

აღნიშნულ საკითხზე აღმასრულებელმა მდივანმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ ორგანიზაციის ბუნებიდან გამომდინარე, წმინდა შედეგის შემცირება არ უნდა იქნეს აღქმული ზარალად, რადგან ასოციაცია შექმნილია კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად და არა მოგების მიღების მიზნით. 2019 წელს, რომელიც ქართული ადვოკატურის საიუბილეო წელს დაემთხვა, ასოციაციის საქმიანობა იყო განსაკუთრებით აქტიური, ხოლო საწევრო შენატანების შემოდინება, რაც ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი წყაროა, იყო პროგნოზირებულზე დაბალი. შესაბამისად, 2019 წელს განხორციელებული აქტივობების მცირე ნაწილი ანაზღაურდა წინა წლის დანაზოგებიდან და არ მომხდარა რაიმე სახის ფინანსური ვალდებულებების აღება.

გოჩა გარუჩავას კითხვაზე, თუ რატომ არის ბიუჯეტის მიხედვით აუდიტის ხარჯი გაწერილი, როგორც სარევიზიო კომისიის ხარჯი, დამოუკიდებელი აუდიტორი განმარტავს, რომ ეს მისი კომპეტენცია არ არის, ფინანსური საქმიანობის ანგარიშგების შემოწმების პროცესში, ისინი განიხილავენ ორგანიზაციის აღმასრულებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისობას ხარჯებთან, ხოლო ის, თუ რას მოიაზრებს აღმასრულებელი ორგანო სარევიზიო კომისიის ხარჯად, მათი განსასაზღვრი ამ დასკვნის მომზადების დროს არ ყოფილა.

გოჩა გარუჩავამ კითხვა დაუსვა აუდიტს ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით, არის თუ არა ყოველ წელს ჩატარებული. აუდიტმა განმარტა, რომ ინვენტარიზაცია არ არის ყოველწლიურად ჩატარებული. თუმცა, ინვენტარიზაციის იმ ფორმით ჩატარება, რაც მოიცავს დებიტორ-კრედიტორების აღრიცხვას, ასოციაციის სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე - დებიტორ-კრედიტორების მცირე რაოდენობა - არ არის აუცილებელი ყოველწლიურად მათი აღრიცხვა, არამედ საჭიროა მხოლოდ მათი ოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში.

ამ საკითხთან დაკავშირებით, აღმასრულებელმა მდივანმა გიორგი ჭეხანმა განმარტა, რომ ორგანიზაცია ორ წელიწადში ერთხელ ატარებს ინვენტარიზაციას - რაც გულისხმობს სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ოდენობის დადგენასა და მათ განსაზღვრას

სახელობით თანამშრომლებზე. 2018 წელს ორგანიზაციას ჩატარებული აქვს აღნიშნული ინვენტარიზაცია. ამასთან, გიორგი ჭეხანმა აღნიშნა, რომ შესაძლებელია ინვენტარიზაციის ყოველწლიურად ჩატარებაც, რის შესახებაც სარევიზიო კომისიას შეუძლია რეკომენდაციით მიმართოს თავმჯდომარეს.

დავით ახალაურმა შეაჯამა მსჯელობა და წევრებს მიმართა, მიემართოს თავმჯდომარეს რეკომენდაციით, ყოველწლიურად ჩატარდეს ქონების ინვენტარიზაცია, საჭიროების შემთხვევაში დებიტორ-კრედიტორების ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციის პროცესში საინვენტარიზაციო კომისიაში მიწვეულ იქნას სარევიზიო კომისიის ერთი წევრი მაინც.

გადაწყვეტილება: წევრები ერთხმად შეთანხმდნენ აღნიშნულ საკითხზე და დაუჭირეს მხარი ინიციატივას. (მომხრე-4; წინააღმდეგი - 0;)

დავით ახალაურმა წამოაყენა ინიციატივა, და მიმართა აღმასრულებელ მდივანს, შიდა კონტროლის მექანიზმის შემუშავებისთვის, წლის განმავლობაში ფინანსური სახსრების ხარჯვის პროცესში მოხდეს სარევიზიო კომისიის ჩართვა, კერძოდ, წლის განმავლობაში 3 თვეში ერთხელ შეიკრიბოს სარევიზიო კომისია, რაც სარევიზიო კომისიის ვალდებულებას წარმოადგენს და ფინანსური მენეჯერისგან და აღმასრულებელი მდივნისგან გამოითხოვოს ბიუჯეტის ხარჯვის ამსახველი ანგარიშგება, და საჭიროების შემთხვევაში ამ პერიოდის დოკუმენტები. გოჩა გარუცავა დაეთანხმა აღნიშნულ ინიციატივას და დაამატა, რომ აპარატის ისედაც გადატვირთული სამუშაო რეჟიმიდან გამომდინარე, შესაძლოა მოხდეს შესამოწმებელი პერიოდის არა სრული დოკუმენტების შემოწმება, არამედ შერჩევით.

გიორგი ჭეხანმა მოისმინა მათი პოზიციები და განმარტა თავისი პოზიცია. შიდა კონტროლის აღნიშნული მექანიზმი, თუ ის მიიღებს ფორმალურ ხასიათს და თუ მისი მიზანი იქნება, წლის განმავლობაში სამუშაო პროცესში ფინანსების ხარჯვის მონიტორინგი, რამდენად შეძლებს სარევიზიო კომისია კანონით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვროს ამა თუ იმ შესყიდვის საჭიროება, ხომ არ გამოიწვევს ეს დამატებით დაბრკოლებას აპარატის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელების პროცესში? აღნიშნული საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი აზრით, აპარატის სამუშაო პროცესის დაბრკოლების გარეშე ფუნქციონირებისათვის, საჭიროა მოხდეს ამ საკითხის უფრო ღრმა ანალიზი და შესწავლა.

გადაწყვეტილება: სარევიზიო კომისიის წევრებმა აღნიშნული საკითხის გასაანალიზებლად ითხოვეს დამატებით დრო და გადაწყვეტილების მიღება გადადეს შემდეგ სხდომაზე. (მომხრე - 3; წინააღმდეგი - 0;)

თავმჯდომარემ მიმართა წევრებს, ვინაიდან დასკვნის განხილვის პროცესში, გამოიკვეთა მათთვის საინტერესო და უფრო ღრმა ანალიზის საჭიროების მქონე საკითხები, უახლოესი დღეებისთვის გადაინიშნოს სხდომა, მოხდეს აღნიშნული საკითხების კიდევ უფრო საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი და შემდგომ სხდომაზე მოხდეს აუდიტის დასკვნის დამტკიცება და დამტკიცების პროცესში წამოჭრილი საკითხების კენჭისყრა. წევრები ერთხმად დაეთანხმნენ თავმჯდომარის მოსაზრებას და სხდომის თარიღად ჩანიშნეს 2020 წლის 11 ნოემბერი.

თავმჯდომარე - დავით ახალაური

წევრი - ლელა ბჟალავა

წევრი - თეიმურაზ მესხი

წევრი - გოჩა გარუჩავა

წევრი - ნუნუ კვანტალიანი